საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამბერლენი იოსებ

კამბერლენი (Camberlan) იოსებ (1766, ანტვერპენი,– 1821, თბილისი), მოქანდაკე, არქიტექტორი. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი (1809). სწავლობდა ანტვერპენის აკადემიაში, შემდეგ კი – პარიზში. 1798 დაბრუნდა სამშობლოში. 1805-იდან მოღვაწეობდა პეტერბურგში. 1816 დაინიშნა საქართვ. საგუბერნიო არქიტექტორად. 1817 კ-მა, რ-იც იყო ნიდერლანდების მოქალაქე, მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. ძირითადად მოქანდაკედ მუშაობდა. მან სხვებთან ერთად მიიღო მონაწილეობა ბირჟის შენობისა და როსტრალური კოლონების სკულპტურულ გაფორმებაში (1805–10, არქიტ. ტომა დე ტომონი); შეადგინა სამხ. სკოლის ფრონტონის პროექტი პეტერბურგში (დაახლ. 20,0 მ × 4,5 მ). თბილისში ცნობილია მის მიერ შესრულებული ერთადერთი პროექტი – თეკლა ბატონიშვილის სახლი. პროექტი (ორი ფასადი) დათარიღებულია 1819 წ. 27 მარტით (ძვ. სტილით). დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წლები, ტ. 2, თბ., 1963; Русский биографический словарь, СПб., 1897.

თ. გერსამია